# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2007 წელს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, ძირითადად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდების პროექტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების პროექტის შესაბამისად (იხ.: www.tsu.ge/qa/statute.htm), ENQA-ს (European Network of Quality Assuarance – ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის) მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივცრეში" (იხ.: www.tsu.ge/qa/doc/QA_geo.pdf) მიხედვით.

**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2007 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:**

I. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა საუნივერსიტეტო პროცედურების ჩამოყალიბება;
II. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება;
III. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმის რეფორმასთან, უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება;
IV. სამაგისტრო პროგრამების შეფასების არსებული ფორმისა და კრიტერიუმების მოდიფიკაცია, სადოქტორო და უმაღლესი პროფესიული პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება;
V. სასწავლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, უმაღლესი პროფესიული პროგრამების) შიდა შეფასება;
VI. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გარე შეფასება;
VII. აკადემიური პერსონალის ლექციებზე ურთიერთდასწრება;
VIII. სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარის შემუშავება;
IX. სტუდენტთა გამოკითხვა;
X. ტრენინგების ორგანიზება;
XI. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
XII. მონაწილეობა ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვაში, გარდამავალ პერიოდში გაუქმებული სასწავლო პროგრამების აღდგენაში;
XIII. მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტიციასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში;
XIV. შიდა საუნივერსიტეტო სამუშაო კონფერენციების ორგანიზება;
XV. მივლინებები საზღვარგარეთ, ურთიერთობები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან;

XVI. სტუდენტთა მობილობისთვის ხელის შეწყობა;
XVII. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება;
XVIII. პასუხი კორესპონდენციებზე.

## I. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა საუნივერსიტეტო პროცედურების ჩამოყალიბება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაინერგა ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგი შიდა საუნივერსიტეტო პროცედურები: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შიდა შეფასება, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების გარე შეფასება (აკადემიური ექსპერტიზა), აკადემიური პერსონალის მიერ ერთმანეთის ლექციებზე დასწრება, სტუდენტთა გამოკითხვა (დეტალურად იხ.: ანგარიშის შემდეგი პუნქტები: V, VI, VII, IX).

## II. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა აკადემიური საბჭოს დადგენილებები და დაინერგა ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგი შიდა საუნივერსიტეტო პროცედურები:
საბაკალავრო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა (23. 01. 07, დადგენილება № 11). იხ.: www.tsu.ge/news/acadc/d11.asp
სამაგისტრო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა (23. 01. 07, დადგენილება № 11). იხ.: www.tsu.ge/news/acadc/d11.asp
საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური ექსპერტიზის პროცედურა (23. 01. 07, დადგენილება № 13), იხ.: www.tsu.ge/news/acadc/d13.asp
სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ინსტრუქცია (09. 07. 08, დადგენილება № 36), იხ.: www.tsu.ge/news/acadc/dad36.asp
დადგენილება სამაგისტრო პროგრამების წარმოდგენის შესახებ (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 18 ივნისის დადგენილება № 28. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/news/acadc/dad28.asp)
დადგენილება სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის შესახებ (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 11 დეკემბრის დადგენილება № 60. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/news/acadc/d60.asp)
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით, აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ (11. 12. 07, დადგენილება № 62), იხ.: www.tsu.ge/news/acadc/d62.asp
2007 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შიდა შეფასების საფუძველზე ფაკულტეტების საბჭოებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე რეკომენდაცია გაუწია და აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 142 სამაგისტრო, 104 გარდამავალი პერიოდის სადოქტორო და 41 ახალი სადოქტორო პროგრამა:
2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის 85 სამაგისტრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 17 ივლისის დადგენილება № 37. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/news/acadc/dad37.asp)

2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის 35 ინდივიდუალური (გარდამავალი პერიოდის) სადოქტორო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 26 სექტემბრის დადგენილება № 43. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/docs/sabchos%20dadgenileba43.asp)
2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის 26 ინდივიდუალური (გარდამავალი პერიოდის) სადოქტორო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება № 50. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/docs/dadgenileba%2050.asp)
2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის 57 სამაგისტრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 დეკემბრის დადგენილება № 66. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/news/acadc/d66.asp)
2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის 43 გარდამავალი პერიოდის სადოქტორო და 41 ახალი სადოქტორო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 დეკემბრის დადგენილება № 67. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/news/acadc/d67.asp)

## III. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმის რეფორმასთან, უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება, თანამშრომლობა განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან

განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ი. დარჩიას მონაწილეობით, Tempus-Tacis-ის პროექტის, “აკრედიტაციის სისტემის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში”, ფარგლებში შემუშავდა პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების პროექტი (დეტალურად იხ.: www.tsu.ge/qa/doc/kvariati-standarts-2.doc)
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში (იხ. აკადემიური საბჭოს 2007 წლის 19 მარტის დადგენილება № 14 უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ: www.tsu.ge/news/acadc/dad14.asp)
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა უნივერსიტეტში დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შემუშავებაში, რომელიც მომზადდა სასწავლო დეპარტამენტის მიერ (იხ.: აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 მაისის დადგენილება № 22)
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები მონაწილეობდნენ კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს სამუშაო ვერსიის შემუშავების პროცესში (იხ.: www.tsu.ge/qa/doc/NQF-%2004.08.07.doc)
თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ი. დარჩიამ მ. მიქელაძესთან, ზ. მოდებაძესთან და დ. კანდელაკთან ერთად, USAID-ისა და World Learning-ის პროექტის ფარგლებში, შეიმუშავა “თსუ-ში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა” (იხ.: მოხსენებითი ბარათი № 16384/02).

## IV. სამაგისტრო პროგრამის შეფასების არსებული ფორმისა და კრიტერიუმების მოდიფიკაცია, სადოქტორო და უმაღლესი პროფესიული პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოდიფიცირდა სამაგისტრო პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები. იხ.: www.tsu.ge/qa/doc/MA-evaluation-form-criteria-2007.doc
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა სადოქტორო პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები. იხ.: www.tsu.ge/qa/doc/PhD-evaluation-form-criteria.doc
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა უმაღლესი პროფესიული პროგრამის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები. იხ.: www.tsu.ge/qa/professional-program-evaluation-form-criteria.doc

## V. სასწავლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, უმაღლესი პროფესიული) შიდა შეფასება

ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებმა და წევრებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად (იხ.: პუნქტი IV), მოახდინეს სამაგისტრო, სადოქტორო და უმაღლესი პროფესიული პროგრამების შიდა შეფასება. თითოეული სასწავლო პროგრამის შეფასების შევსებული და კომენტირებული ფორმები ინახება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
2007 წლის განმავლობაში ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების მიერ შეფასდა 142 სამაგისტრო, 104 გარდამავალი პერიოდის სადოქტორო და 41 ახალი სადოქტორო პროგრამა (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე პუნქტი II). კერძოდ:
2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის 85 სამაგისტრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 17 ივლისის დადგენილება № 37. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/news/acadc/dad37.asp)
2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის 35 ინდივიდუალური (გარდამავალი პერიოდის) სადოქტორო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 26 სექტემბრის დადგენილება № 43. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/docs/sabchos%20dadgenileba43.asp)
2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის 26 ინდივიდუალური (გარდამავალი პერიოდის) სადოქტორო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 8 ოქტომბრის დადგენილება № 50. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/docs/dadgenileba%2050.asp)
2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის 57 სამაგისტრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 დეკემბრის დადგენილება № 66. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/news/acadc/d66.asp)
2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის 84 სადოქტორო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 დეკემბრის დადგენილება № 67. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/news/acadc/d67.asp)

## VI. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გარე შეფასება

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების დახმარებით მოახდინა თსუ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გარე ექსპერტიზა აკადემიური საბჭოს № 13 დადგენილების შესაბამისად.

გარე ექსპერტების დასკვნების ერთი ეგზემპლარი გადაეცა პროგრამის ხელმძღვანელს რეაგირებისთვის, ერთი ეგზემპლარი წარედგინა თსუ რექტორს, ერთი ეგზემპლარი ინახება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

ამერიკანისტიკის საბაკალავრო პროგრამამ გაირა საერთაშორისო ექსპერტიზა რატგერსის უნივერსიტეტის პროფესორის, მაიკლ როკლენდის მიერ. მისი შენიშვნების გათვალისწინებით მოხდა პროგრამის მოდიფიკაცია.

2007 წელსვე იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა საექსპერტოდ გადაეცა ბოლონიის უნივერსიტეტის იტალიანისტიკის დეპარტამენტს და პირადად მის დირექტორს, პროფესორ ჯან პიერ ანსელმის, ხოლო მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმი მთლიანად ითარგმნა ინგლისურად და საექსპერტოდ გაეგზავნა მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტს.

## VII. აკადემიური პერსონალის ლექციებზე ურთიერთდასწრება

2007 წლის გაზაფხულზე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების ორგანიზებით აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები სისტემატურად ესწრებოდნენ ერთმანეთს ლექციებზე. მათ მიერ მოსმენილი ლექციისა თუ სემინარის შეფასებას ისინი ახდენდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული სპეციალური ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით. ლექციათა შეფასების შევსებული და კომენტირებული ფორმები, მთლიანობაში 386 ცალი, ინახება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

კოლეგების მიერ გამოთქმული შენიშვნები ეხებოდა, ძირითადად, აუდიტორიების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას.

## VIII. სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარის შემუშავება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფ. ნინო ჯავახიშვილმა მოამზადა სტუდენტთა გამოკითხვის ორი კითხვარი. პირველი მათგანი ეხებოდა სასწავლო პროცესის ორგანიზებას და უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, ხოლო მეორე – პროფესორების მიერ ჩატარებული ლექცია-სემინარების შეფასებას. კითხვარები იხ.: www.tsu.ge/qa/doc/gamokitxva.html

## IX. სტუდენტთა გამოკითხვა

2007 წლის გაზაფხულის სემესტრში ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისა და წევრების მონაწილეობით ჩატარდა სტუდენტთა ორი ტიპის გამოკითხვა. კითხვარები ეხებოდა, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესის ორგანიზებას და უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, ხოლო, მეორე მხრივ, პროფესორების მიერ ჩატარებული ლექცია-სემინარების შეფასებას. 2 400 კითხვარი დამუშავდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორ ნინო დურგლიშვილისა და მისი სტუდენტების დახმარებით. კითხვარების დამუშავებისა და ანალიზის შედეგები იხ.: www.tsu.ge/qa/doc/kvleva1.doc

## X. ტრენინგების ორგანიზება

| თარიღი | ტრენინგის თემა | ტრენერი | სამიზნე ჯგუფი | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|---|---|
| 22-30 იანვარი | კურიკულუმის შემუშავება, სილაბუსის წერა, ECTS, ხარისხის უზრუნველყოფა, პროექტის წერა, უწყვეტი განათლება, ბოლონიის პროცესი, ევროპასთან სამეცნიერო თანამშრომლობა<br><br>დეტალურად იხ.:<br>www.tsu.ge/qa/doc/fondi.doc | ლიკა ღლონტი<br>მარინე ჩიტაშვილი<br>ლალი ბაქრაძე | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | სოციალური და სტრატეგიული კვლევის ცენტრი "კოკ";<br><br>ტრენინგის მონაწილეთა კვების ხარჯები დაიფარა თსუ ბიუჯეტიდან |
| 15 მარტი | ბოლონიის პროცესის დანერგვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სისტემაში<br><br>დეტალურად იხ.:<br>www.tsu.ge/qa/doc/prezentacia.html | ჰენეკე ვან ბრუგენი (ჰოლანდია) | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სტუდენტური თვითმმართველობა | საზოგადოებრივ საწყისებზე |
| 29 მარტი | ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტები<br><br>დეტალურად იხ.: | ემი ლეზბერგი (აშშ) | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, | USAID-ის დაფინანსებული პროექტი GEDA |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | www.tsu.ge/qa/doc/SelfStudyWorksh_2007.ppt www.tsu.ge/qa/doc/Institutional_Standards_draft_2,oct.31.doc | | ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტური თვითმმართველობა | შესვენების დროს საუზმე დაფინანსდა თსუ ბიუჯეტიდან |
| 4 აპრილი | პროგრამული აკრედიტაციის პროცესი<br><br>დეტალურად იხ.: www.tsu.ge/qa/doc/DEVELOPINGWORK.ppt | ჯეიმს დეკერი (აშშ) | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | საზოგადოებრივ საწყისებზე |
| 18 აპრილი | პროგრამული აკრედიტაციის პროცედურები გერმანიასა და ავსტრიაში (მივლინების შედეგების საფუძველზე)<br><br>დეტალურად იხ.: www.tsu.ge/qa | ირინე დარჩია | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | საზოგადოებრივ საწყისებზე |
| სექტემბერი | უმაღლესი პროფესიული პროგრამების შემუშავება<br><br>დეტალურად იხ.: www.tsu.ge/qa/profesiulis.pdf | ლალი ბაქრაძე | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

## XI. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა

26 ნოემბერს GRENA-ს ოფისში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ორგანიზებით პირველად ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ჩატარდა ვიდეო-კონფერენცია, რომელიც წარმართა რატგერსის უნივერსიტეტის ამერიკამცოდნეობის დეპარტამენტის დამაარსებელმა და მისმა პირველმა ხელმძღვანელმა, თსუ-ს ამერიკანისტიკის სამაგისტრო პროგრამის კონსულტანტმა პროფესორმა მაიკლ როკლენდმა თემაზე "ამერიკამცოდნეობა: წარსული, აწმყო და მომავალი". ვიდეო-კონფერენციების ჩართვა სასწავლო პროცესში და ამგვარად მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან აკადემიური კონტაქტების დამყარება და გაღრმავება სწავლების ერთ-ერთ უახლეს მეთოდად ითვლება. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/qa/doc/new-methods-TSU-2.pdf. აღნიშნული კონფერენცია უნდა ჩაითვალოს ესტონეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში თსუ-ს

დელეგაციის მივლინების და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან თსუ-ს ნაყოფიერი თანამშრომლობის ერთ-ერთ შედეგად.

## XII. მონაწილეობა ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვაში, გარდამავალ პერიოდში გაუქმებული სასწავლო პროგრამების აღდგენაში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უშუალო მონაწილეობით გარკვეული პაუზის შემდეგ უნივერსიტეტში აღდგა ამერიკანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, სინოლოგიისა და იაპონისტიკის დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამები, პირველად საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში დაინერგა ბიზანტიური ფილოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, სკანდინავისტიკის დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა აგრეთვე ევროპეისტიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის შემუშავების და პედაგოგების შერჩევის პროცესში (იხ. აგრეთვე პუნქტი II).

## XIII. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ი. დარჩიას მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში

| კონფერენციის, სემინარის, ტრენინგის სახელწოდება | ჩატარების თარიღი | ჩატარების ადგილი | ორგანიზატორი | მონაწილეობის ფორმა |
|---|---|---|---|---|
| II საერთაშორისო სემინარი: “პროგრამული აკრედიტაციის უზრუნველყოფის ეტაპები” | 7-9 მაისი | თბილისი (საქართველო) | TEMPUS-TACIS-ის პროექტი: “აკრედიტაციის სისტემის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში” | მოხსენება: “პროგრამული აკრედიტაციისთვის მზადება თსუ-ში” (იხ.: www.tsu.ge/qa/doc/tempus-tacis-web.ppt) |
| საერთაშორისო სემინარი: “სიძველეთმცოდნეობის კონტექსტუალიზაცია” | 20 აგვისტო – 2 სექტემბერი | სოფია (ბულგარეთი) | სოფიის კლიმენტ ოხრიდსკის სახელობის უნივერსიტეტი, ღია საზოგადოების ინსტიტუტი (Open Society Institute) | ტრენინგში მონაწილეობა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საერთაშორისო კონფერენცია: “უნივერსიტეტის ინტეგრაციის მენეჯმენტი” | 19-23 სექტემბერი | ბოლონია (იტალია) | ბოლონიის უნივერსიტეტი, “მაგნა ხარტას ობსერვატორია” | დასწრება მოხსენების გარეშე |
| კონფერენცია: “ხარისხის მართვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში” | 19 ოქტომბერი | წავკისი (საქართველო) | კონსულტაციების და ტრენინგების ცენტრი (CTC) | მოხსენება: “ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თსუ-ში” იხ.: www.tsu.ge/qa/doc/QA-TSU-last.ppt |
| კონფერენცია: “სადოქტორო პროგრამები საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები” | 30 ნოემბერი | თბილისი (საქართველო) | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | დასწრება მოხსენების გარეშე |
| საერთაშორისო კონფერენცია: “საერთაშორისო მოდელები და საუკეთესო გამოცდილება განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და აკადემიური პერსონალის განვითარება” | 5-7 დეკემბერი | მოსკოვი (რუსეთი) | IREX | დასწრება მოხსენების გარეშე |
| III საერთაშორისო სემინარი “ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ბოლონიის პროცესის კონტექსტში” | 14 დეკემბერი | თბილისი (საქართველო) | TEMPUS-TACIS-ის პროექტი: “აკრედიტაციის სისტემის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში” | მოხსენება: “თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ბოლონიის პროცესის კონტექსტში” (იხ.: მოხსენებითი ბარათი № 2847) |
| კონფერენცია: “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება საქართველოში” | 20 დეკემბერი | თბილისი (საქართველო) | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის | დასწრება მოხსენების გარეშე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | საქართველოს ფილიალი, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია | |

## XIV. შიდა საუნივერსიტეტო სამუშაო კონფერენციების ორგანიზება

| თარიღი | კონფერენციის თემა | კონფერენციის მონაწილენი | კონფერენციის შედეგი |
|---|---|---|---|
| 20 დეკემბერი | ენების სწავლება უნივერსიტეტში: პრობლემები და პერსპექტივები<br><br>დეტალურად იხ.: www.tsu.ge/qa/doc/language-conference.pdf | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი | აკადემიური საბჭოს 2008 წლის 9 იანვრის დადგენილება № 74 იხ.: www.tsu.ge/news/acadc/d74.asp |

## XV. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ი. დარჩიას მივლინებები საზღვარგარეთ, ურთიერთობები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან

| თარიღი | ქვეყანა | ორგანიზაცია | დაფინანსების წყარო | მივლინების შედეგი |
|---|---|---|---|---|
| 3-12 თებერვალი | გერმანია, ავსტრია | ვაიმარის ბაუჰაუსის უნივერსიტეტი, იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტი, იენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ერფურტის უნივერსიტეტი, ავსტრიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო, ვენის ცოცხალი ბუნების შემსწავლელ და გამოყენებით მეცნიერებათა | TEMPUS-TACIS-ის პროექტი: “აკრედიტაციის სისტემის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში” | 1. ი. დარჩიას მონაწილეობით შემუშავდა პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების პროექტი; იხ.: www.tsu.ge/qa/doc/kvariati-standarts-2.doc;<br>2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საჩუქრად გადაეცა 10 000 ლარის ღირებულების აპარატურა (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, კომპიუტერის ვიდეოთვალი, |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | უნივერსიტეტი (BOKU) ავსტრიის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო | | ციფრული ფოტოაპარატი, ე. წ. "ფლეში"); 3. ჩატარდა ტრენინგი (იხ. პუნქტი X); 4. მივლინების შესახებ პრეზენტაცია გაკეთდა ევროსაბჭოს დელეგაციის ინიციატივით. ინფორმაცია იხ.: www.tsu.ge/qa/doc/tempus-tacis-web.ppt; 5. მივლინების ანგარიში იხ.: მოხსენებითი ბარათი № 4894/02. |
| 16 აპრილი – 5 მაისი | აშშ, ესტონეთი | პრინსტონის, რატგერსის, დრექსელის, პენსილვანიის, ტალინის ტექნოლოგიური, ტარტუს უნივერსიტეტები; ტალინისა და ტარტუს უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები | USAID World Learning | 1. ი. დარჩიამ მ. მიქელაძესთან, ზ. მოდებაძესთან და დ. კანდელაკთან ერთად შეიმუშავა "თსუ-ში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა"; 2. ჩატარდა ვიდეო კონფერენცია რატგერსის უნივერსიტეტთან. დეტალურად იხ.: www.tsu.ge/qa/doc/new-methods-TSU-2.pdf; 3. მივლინების ანგარიში და შესაბამისი დოკუმენტაცია იხ.: მოხსენებითი ბარათი № 16384/02. |
| 20 აგვისტო – 2 სექტემბერი | ბულგარეთი | სოფიის კლიმენტ ოხრიდსკის სახელობის უნივერსიტეტი | ღია საზოგადოების ინსტიტუტი (Open Society Institute) | 1. ბოლონიის პროცესის ფარგლებში სიძველეთმცოდნეობის – კლასიკური ფილოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიისა და |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | ფილოსოფიის – კურიკულუმის რეფორმის კონცეფციის შემუშავება; 2. ახალი სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავება (“დიგიტალური სიძველეთმცოდნეობა”); დეტალურად იხ.: www.proclassics.org. |
| 19-23 სექტემბერი | იტალია | ბოლონიის უნივერსიტეტი, “მაგნა ხარტას ობსერვატორია” | თსუ ბიუჯეტი | 1. დაიწყო მოლაპარაკება ბოლონიის უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე და ხელშეკრულება გაფორმდა 2008 წლის მარტში; 2. ბოლონიის უნივერსიტეტის იტალიანისტიკის დეპარტამენტს აკადემიური ექსპერტიზისათვის გადაეცა თსუ იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა. 3. მივლინების ანგარიში იხ.: მოხსენებითი ბარათი № 14851/02 |
| 1-8 ნოემბერი | საბერძნეთი | ხარისხის უზრუნველყოფის ბერძნული სააგენტო; ბერძნული ტერმინოლოგიის ასოციაცია | ბერძნული ენის პროპაგანდის საერთაშორისო ორგანიზაცია (ODEG) | დაისახა ხარისხის უზრუნველყოფის ბერძნულ სააგენტოსთან თანამშრომლობის, ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების გეგმები |
| 5-7 დეკემბერი | რუსეთი | საერთაშორისო კონფერენცია “საერთაშორისო მოდელები და საუკეთესო გამოცდილება განათლების ხარისხის | IREX | 1. აშშ, რუსეთის, ინდოეთისა და ჩინეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების, სამსახურების საქმიანობის გაცნობა; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | უზრუნველყოფის საქმეში და აკადემიური პერსონალის განვითარება” | | 2. სტუდენტთა გამოკითხვის ფუნქციისა და პროცედურის გადააზრება. |

## XVI. სტუდენტთა მობილობისთვის ხელის შეწყობა

2006 წლის შემოდგომაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს სამხატვრო აკადემიასთან და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტთან, ხოლო მას შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კურირებს ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კრედიტების გაცვლის პროცესს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა ERASMUS MUNDUS-ის ფარგლებში საბერძნეთში, თესალონიკის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში გასაგზავნი სტუდენტების შერჩევის პროცესში.

## XVII. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება

2007 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსების კრედიტები უღიარა 9 სტუდენტს, რომელთაგან ოთხი სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ორი – ესტონეთში, ერთი ლიტვაში, ხოლო ორი – გერმანიაში.

## XVIII. პასუხი კორესპონდენციებზე

2007 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად შევიდა 144, ხოლო გავიდა 221 კორესპონდენცია, რომლებიც, ძირითადად, ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებს, სასწავლო პროგრამებს, სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებას, სტუდენტთა მობილობასა და კრედიტების აღიარებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, უცხოელი პროფესორების ვიზიტებს და სხვ.